სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება №01-06-02/18

ქ. თბილისი

1-ელი ივლისი 2020

ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის საშტატო განრიგში ცვლილებების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), ბატონი კარლო კოპალიანის 2020 წლის 26 ივნისის №05-01/4 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის პირველი ივლისის №01-06-02/06 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. ი. ჟორდანიას სახელობის საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრის დამტკიცებულ საშტატო განრიგში შევიდეს ცვლილება, სახელფასო ფონდის ცვლილების გარეშე, კერძოდ: ცენტრის „მიწის, წყლის და ტყის რესურსების“ განყოფილებაში გაუქმდეს უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას 0,5 მთავარი მეცნიერი თანამშრომლისა და 0,5 უფროსი მეცნიერი თანამშრომლის საშტატო ერთეულები. ასევე დამხმარე პერსონალში გაუქმდეს უფროსი სპეციალისტის 1 საშტატო ერთეული და შეიქმნას მდივანი-რეფერენტის 0,5 საშტატო ერთეული.

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**